1 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I], ი

2022 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

ესავდეთ უფალს მუდამ ეს 26,4

ეს სიტყვა უფლის დიდი საჩუქარია: მასზე შეგვიძლია დავაყრდნოთ მთელი ჩვენი ცხოვრება. არ არსებობს ისეთი წყვდიადი, იმხელა ცოდვა, რომ შეგვიშალოს ხელი იესოსთან მისვლაში სასოებით. სიხარულით მოვამზადოთ მასთან ჩვენი ახალი შეხვედრა ამ წმიდა შობაზე!

2 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

2022 პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

დავითის ძეო, შეგვიწყალე ჩვენ! მთ 9,27

იესო დადის ადამიანის ბილიკებზე. დღესაც ჩვენს გვერდითაა, ჩვენთანაა და ჩვენთვისაა იქ, სადაც არიან ადამიანები, მას რომ სიყვარულით ემსახურებიან ერთად. ებრალება ისინი და ეხმარება მათ, ვინც მას რწმენითა და სიყვარულით მოუხმობენ, როგორც დაეხმარა იმ ორ ბრმას, მას რომ შეჰღაღადებდნენ.

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც., +1552, (მ), თ

2022 შაბათი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35 – 10,1.6-8

სამკალი ბევრია,
მუშაკნი კი — ცოტა მთ 9,37

დღეს, შენი სურვილისამებრ, იესო, ვლოცულობთ: “მამაო, ყოველი ქრისტიანი აქციე შენი სამკალის ნამდვილ მუშაკად. აღავსე ისინი სულიწმიდით, რათა საკუთარ თავზე კი აღარ იფიქრონ, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ შენი სიყვარულის იარაღი იყვნენ ძისეული ცხოვრების მაგალითით, რომელიც შენზეა მონდობილი. მეც მაქციე ნიშნად და იარაღად შენი თანაგრძნობისა მის მიმართ, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს შენს სიყვარულს!”.

4 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «ა», [II], ი

2022 კვირა

ეს 11,1-10; ფს 71; რომ 15,4-9; მთ 3,1-12

მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი მთ 3,2

ჩვენ ახლახან დავიწყეთ ადვენტის დრო, რომელიც გვამზადებს ღვთის ძის შობის ხელახლა განცდისათვის. იოანე ნათლისმცემელი, მეფის შიკრიკთა ძალმოსილებით ომახიანად აცხადებს, რომ ცათა სასუფეველი ახლოა, რადგან მეფე მოდის. მის მისაღებად გასამზადებლად მოგვიხმობს დღეს, გამოვიღოთ „მოქცევის ღირსი ნაყოფი“, ანუ ჩამოვიხსნათ ნიღბები, გამოვიდეთ თვალთმაქცობიდან, რათა ჭეშმარიტად ვიცხოვროთ სულიწმიდის მიხედვით, რომლითაც მეფემ უკვე მოგვნათლა.

5 დეკემბერი

2022 ოთხშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

ადამიანო, მოგეტევა შენი ცოდვები ლკ 5,20

რა არის ცოდვა? სწორედ ის დამოკიდებულებები და ქმედებები, რაც გვიშლის ხელს ღვთის სიტყვით ცხოვრებაში. დღეს მახსოვს ის, რაც ეხება ძმურ ცხოვრებას და რაც მაიძულებს თავიდან ავიცილოთ გაბრაზება, ცუდი რეაქცია, ყურადღების ცენტრში მოქცევა და ჩემი იდეის გატანის სურვილი... იესო, მღვდლის ხმით, აღსარების საიდუმლოში, აუქმებს ცოდვებს და უფრო მეტიც იძლევა მადლს, რომ იყოს უფრო ძლიერი, როცა ახალი განსაცდელები გამოჩნდება.

6 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +350

2022 სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

ჩვენი ღმერთის სიტყვა კი
სათუკუნოდ დგას ეს 40,8

უფლის მიერ შთაგონებული ესაია იმედს უსახავს ხალხს, მათ გაურკვეველ ცხოვრებას, აუწყებს მა-ცხოვრის მოსვლას. თუმცა მის მისაღებად გულის მომზადებაა საჭირო. მას აქვს სიტყვები, რომ-ლებიც კურნავს და აღადგენს, ახალ სიცოცხლეს აძლევს. მოდი, უფალო, იესო!

7 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II]

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., +397, (მ), თ

2022 ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ მთ 11,29

შობის დღესასწაულზე იესო გვაჩვენებს რა არის თვინიერება და თავმდაბლობა. ის, ვინც არის ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა და განაგებს სამყაროს, გახდა ბავშვი. ასე აღარავის შეეშინდება ღმერთის, პირიქით, ყველა იგრძნობს, როგორ იზიდავს იგი. გმადლობთ, იესო, რომ შენი მიღებით, ჩვენ ვხდებით მცირენი, სიამოვნებით მოვენდობით შენს ხელთ.

8 დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

2022

ხუთშაბათი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი ლკ 1,37

მარიამმა როცა მიიღო ანგელოზისგან უწყება, რომ ის იქნება იესოს დედა, ეკითხება მას: "როგორ მოხდება ეს ...?". ეს იქნება სულიწმიდის საქმე, პასუხობს ანგელოზი და დასძენს, რომ „ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი“. მარიამ, შენ თავმდაბლად მიიღე, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, ეჭვის გარეშე, ანუ ცოდვის ჩრდილის გარეშე, ანგელოზის სიტყვა, ჩვენც შეგვეწევი, დამყოლად ვუსმინოთ მამას.

9 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

2022 პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელიც გასწავლის შენს სიკეთეს ეს 48,17

წინასწარმეტყველს სურს ანუგეშოს ერი. მან დიდი ტანჯვა გამოიარა ცოდვის გამო, რამაც დააშორა ღმერთი მისი გზიდან. ახლა კი თავად ღმერთი გადაწყვეტს, გულმოწყალება აღმოუჩინოს და ცდილობს ამ ბედკრული ერის მიზიდვას. პირდება მას, რომ მივა მასთან და კვლავაც იქნება მისი მფარველი!

10 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II], ი

ღოხეტოს ნეტარი ქაღწუღი მარიამი

2022 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

კაცის მეს მოელის მათგან ტანჯვა მთ 17,12

იესო, შენი ცხოვრება ეხამუშება იმათ, ვინც ცხოვრობს თავკერძობასა და ძალაუფლების ძიებაში და არა აქვს სუფთა გული. მე ვიქნები შენთან ახლოს, შენ დამეხმარები, განმწმენდ ყველაფრისგან, რაც ხელს მიშლის, შეგიყვარო შენ და ძმები.

11 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «ა», [III], 3

2022 კვირა

ეს 35,1-6.8.10; ფს 145; იაკ 5,7-10; მთ 11,2-11

შენა ხარ ის, ვინც თუნდა მოვიდეს? მთ 11,3

იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები ამ კითხვას უსვამენ იესოს. იესო პასუხობს მათ და მოუწოდებს გაახილონ თვალები და მოუსმინონ, რას აკეთებს და აცხადებს. მისი ნამოქმედარი უკვე არის ესაიას მიერ მესიისთვის ნაწინასწარმეტყველები. იოანე ნათლისმცემლისთვის ცხადი იქნება: იესო არის ღმერთის მესია და შეუძლია ამის დასკვნა წმიდა წერილების მის ცხოვრებასთან დაკავშირებით. სწორედ ეს ასწავლა აღმდგარმა ორ ემაუსელს. ამას ჩვენც გვასწავლის.

12 დეკემბერი

2022

ადვენტის III კვირა [III]

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკჰესელი, ეპ., წამ., VIს.; გვადაღუპეს ნეტაჰი ქაღწუღი მაჰიამი, 1531

ოჩშაბათი

რიცხ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

შენ გესავ ფს 24

აი, მამაო, შენთვის სასიამოვნო საქმე: შენი იმედი, სასოება! ეს არ მაძლევს უფლებას ვიამაყო, პირიქით, საშუალებას გაძლევს შენ გამოჩნდე მამად, სულგრძელი მიმტევებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. ეს არის საქმე, რომელიც მაიძულებს ვიცხოვრო მშვიდობითა და სიხარულით: მოდი, უფალო, შენი იმედი მაქვს!

13 დეკემბერი

2022

ადვენტის III კვირა [III]
წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგ., +502; წმ. პეტხე კათ., Vს;
წმ. სამეფე კათ., V-VIსს

სამშაბათი

სოფ 3,1-2.9-13; ფს 33; მთ 21,28-32

მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში მთ 21,31

როგორ შეასწრებენ ცოდვილები? დიახ, ვინც მიიღებს იესოს თავის ცხოვრებაში, არის მამა ღმერთის გულში! ვისაც სჯერა, რომ შეუძლია თავის გადარჩენა, მარტო რჩება, ისევე როგორც ის კაცი, რომელმაც უარი თქვა საქორწინო სამოსზე. ფარისევლები, რომლებიც უსმენდნენ იესოს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის არ სჭირდებოდათ. მე სამაგიეროდ გევედრები: მარანა თა!

14 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III]

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ), თ

2022 ოთხშაბათი

ეს 45,6-8.18.21-25; ფს 84; ლკ 7,19-23

ნეტარია ვინც არ შეცდება ჩემში ლკ 7,23

დღეს იესო ამ სიტყვას მეუბნება მეც და შენც. მიუხედავად იმისა, რომ იესო გახდა ჩვენნაირი ადამიანი, – მეტიც, სწორედ ამის გამო! – მისი ცხოვრება მაოცებს, კითხვებს მისვამს, მიბიძგებს, აღმიძრავს იმედს, მშვიდობას, ნათელს, ნუგეშს. იესო, მსურს მუდამ შენთან ვიყო: როდი დავბრკოლდები იმ სიყვარულის გამო, რომლითაც მოდიხარ თავმდაბლად!

15 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III], ი

(2.XII) წმ. ისე წიდკნელი, ეპისკოპოსი,VIს.

2022 ხუთშაბათი

ეს 54,1-10; ფს 29; ლკ 7,24-30

რის სანახავად გახვედით უდაბნოში? ლკ 7,24

იესო საუბრობს იოანე ნათლისმცემელზე, რომელიც იუდას უდაბნოში ქადაგებდა მესიის მოსვლას. მან მოგვიწვია აღვფრთოვანებულიყავით მისით, რადგან იგი არ აჰყვა გაბატონებულ მენტალიტეტს და ცხოვრობდა უპოვრად: უწყოდა, რომ ღმერთი ზრუნავდა თავის მსახურებზე. იგი არც თვალში ეჩხირებოდა ხალხს, სამოსი მისთვის იყო ოდენ თავდაცვისა და სხეულის პატივისცემისათვის.

16 დეკემბერი

2022 პარასკევი

ეს 56,1-3.6-8; ფს 66; იო 5,33-36

იოანემ დაამოწმა ჭეშმარიტება იო 5,33

ამ სიტყვებით იესო ცდილობს დაეხმაროს ებ-
რაელ მეთაურებს: ისინი არ ენდობოდნენ იოანე
ნათლისმცემელს, რომელიც ადამიანთა გულებს
ამზადებდა მესიის მისაღებად. ის მოუწოდებს
მათ გააცნობიერონ საქმეებიდან, რომ იგი, იესო,
თავად არის ნანატრი მესია.
მოდი, სულო წმიდაო, დაგვეხმარე ჩვენც და
შორს მყოფთაც, იესოსთვის კარის გახსნაში.

17 დეკემბერი

შობის ნოვენის დასაწყისი [ს], ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

2022 შაბათი

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

ყველა თაობა აბრაამიდან დავითამდე, თოთხმეტი თაობა მთ 1,17

მათე მახარებელი დღეს წარმოგვიდგენს იესოს გენეალოგიას, აბრაამიდან მოყოლებული. ამგვარად, ის გვიჩვენებს, რომ იესო ჩასმულია ცოდვილი კაცობრიობის ისტორიაში, ის უცოდველი, რათა განკურნოს იგი და დაუბრუნოს მამას. იგი გახდა მეგზური, ძალა და უსაფრთხო გზა. ჩვენზეა დამოკიდებული მივიღოთ იგი და მივყვეთ მას!

18 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «ა», [IV], ი

2022 კვირა

ეს 7,10-14; ფს 23; რომ 1,1-7; მთ 1,18-24

შობს მეს და დაარქმევ მას
სახელად იესოს მთ 1,21

როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ ღვთის სიტყვით, სრულიად მის განკარგულებაში, მარიამის მსგავსად, მაშინ ჩვენც ვშობთ იესოს, ღვთის სიტყვას და ვხდებით ღმერთის თანამოღვაწენი. როდესაც რაღაც გვიკარგავს მოსვენებას, ზეციერი მამა შემოდის, რათა დაგვაიმედოს და შეგვეშველოს მორჩილებაში და გვაპოვნინებს თავის მშვიდობას.

19 დეკემბერი

2022 ოთხშაბათი

მსჯ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

ნუ გეშინია, ზაქარია, ვინაიდან
შესმენილია შენი ლოცვა ლკ 1,13

თუ მთელი გულით მივმართავთ მამა ღმერთს და სიყვარულით ვემორჩილებით მას, ის თავის დროზე უპასუხებს ჩვენს ლოცვას. ზუსტად ასე დაემართათ ზაქარიას და ელისაბედს. მამამ მათ მოლოდინსა და იმედებს გადააჭარბა!

20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2022 სამშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

გიხარიოდეს, მიმადლებულო,
შენთანაა უფალი ლკ 1,28

ეს არის საშობაო ნოვენა, ცხრა დღის ლოცვა, ჩვენ ველოდებით იესოს, ველოდებით მას, ვინც მარიამს მიეცა შვილად. როგორც მას მოუხმეს სიხარულისკენ, ჩვენც მოგვეცემა მისი სიხარული. ჩვენ ველოდებით მას ისეთივე სიყვარულით, რომლითაც იგი ელოდა, რათა დავუთმოთ მას ჩვენი დრო და მთელი ენერგია.

21 დეკემბერი

2022

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

ოთხშაბათი

ქებ 2,8-14 ან, სოფ 3,14-17; ფს 32; ლკ 1,39-45

კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი ლკ 1,42

სულიწმიდამ ეს სიტყვები უკარნახა ელისაბედს, რომელიც მან მარიამს მიაგება. ჭეშმარიტად მარიამი კურთხეულია მამა ღმერთის მიერ ყველა ქალზე მეტად და მით უმეტეს, იესო, მისი მუცლის ნაყოფი. როდესაც ჩვენ ვლოცულობთ გიხაროდენს, ჩვენც ვადასტურებთ ამ ჭეშმარიტებას და ვიმეორებთ ამ კურთხევას!

22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2022 ხუთშაბათი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს ლკ 1,48

მარიამი გამოხატავს სიხარულს თავისი ღმერთის მიმართ. თუ ღმერთი მას ნდობით მიმართავს და მას მზაობასა და გახსნილობას სთხოვს, ის ნამდვილად საყვარელი ღმერთია. მის წინაშე ყოველგვარი შიში უადგილოა, ისევე როგორც უცხო არის მისთვის ძალმომრეობა. მან იცის როგორ დაინახოს მცირენი, რომლებიც არაფერია და იცის, როგორ უნდა დააფასოს ისინი. ის სასწაული ღმერთია!

23 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

2022 პარასკევი

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

რა იქნება ეს ყრმა? ლკ 1,66

იოანე დაიბადა. დედა მოხუცებულია. დადუმებული მამა ალაპარაკდა. ბავშვის სახელი უცხოა ამ ნათესაობისთვის, მაგრამ ეს სახელი გამოცხადებას ატარებს; ის იუწყება, რომ ღმერთი სიყვარულია, რომ არ უნდა ეშინოდეთ მისი. იმ ბავშვის წყალობით ჩვენ ვიხილავთ ღვთაებრივ, ახალ, მშვენიერ, წმიდა საქმეებს. გაოცებულები ველოდებით.

24 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

2022 შაბათი

2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79

წყალობას თეოფდა ჩვენს მამებს ლკ 1,72

ზაქარიას საგალობელი მისგან როდი მოდის, არამედ სულიწმიდისაგან. სულიწმიდაა, რომ ტაძრის მოხუცებული მღვდლის პირით აპირქვავებს საყოველთაო ნორმალურ მოლოდინებს. სასჯელებს ელოდნენ, როგორც ყოველთვის, არადა წყალობა მოდის. და ეს წყალობაა, რომელიც მიცვალებულ მამებსაც კი მიაღწევს ქვესკნელში. ვნახავთ როგორ. ამასობაში კი იმედით მადლობას ვუხდით.

25 დეკემბერი

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

2022 კვირა

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

იესო ნათელი ჭეშმარიტი,
რომელიც თენათებს სოფლად
მომსვლელ ყოველ ადამიანს იო 1,9

სამყაროს სქელი წყვდიადი გადაჰფარვია. ადამიანები ვერ ხედავენ მომავალს, არა აქვთ იმედი. ახლა, ბავშვის წყალობით, რომელიც ჩალას აკურთხებს თავლაში, ჩვენ ვიწყებთ სინათლის დანახვას. უპირველეს ყოვლისა, ამ ნათელს ხედავენ საზოგადოების ნაძირალა მწყემსები. მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ იმედი. ისინი ხვდებიან, რომ ღმერთი მათ ენდობა. ეს მართლაც ნამდვილი შუქია.

26 დეკემბერი

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

2022 ოჩშაბათი

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ყველასგან მოძულებულნი იქნებით ჩემი სახელის გამო- მთ10,22

შეგვიძლია ვისაუბროთ სიძულვილზე იესოს შობის მსგეფსში? დიახ. რა თქმა უნდა, არა შეძულებაზე, არამედ იმ სიძულვილის ატანაზე, რომლის სამიზნეც თავად გახდა. სტეფანე პირველია, ვინც მოკვდა იესოს სიყვარულის დასამოწმებლად, ჩვენ არ ვგლოვობთ ამ სიკვდილს, პირიქით, ვხარობთ, რადგან ეს სიყვარულის საჩუქარია, მრავალთა გადასარჩენად შეწირული სიცოცხლე.

27 დეკემბერი

წმ. იოანე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], თ

2022 სამშაბათი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

იხილა და ირწმუნა იო 20,8

იმ მოწაფის დღესასწაული „რომელიც უყვარდა იესოს“ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ უფლის შობის ერთი ასპექტი. მისი დაბადება მისი აღდგომის შესავალია, ახალი სიცოცხლისთვის დაბადება, რომელსაც არ უდის სიკვდილის სუნი. იოანე პირველი იყო, ვინც „იხილა და ირწმუნა“, მან იხილა ის, რასაც ვერავინ ხედავს და ირწმუნა ის, ვინც დაბადებისთანავე დაიწყო სიცოცხლის გაღება. შობის გამოქვაბული მოასწავებს ცარიელ საფლავს!

28 დეკემბერი

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი, დ, [ს], წ

2022 ოთხშაბათი

1იო 1,5 - 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

ჰეროდეს სურს მაგ ყრმის მოძებნა, რათა დაღუპოს იგი მთ 2,13

შავბნელი კაცია ეს ჰეროდე. სურდა ადამიანთა და ღმერთის გული მოეგო ტაძრის აგებით, მას, რომელსაც არც ადამიანები და არც ღმერთი არ ჰყვარებია. რატომ მოგვევლინა იესო სწორედ მაშინ, როცა ის მეფობდა? როცა ადამიანებს სურთ კაცობრიობისა და ადამიანობის განადგურება, მაშინ ვლინდება სიკეთე და სიცოცხლის მომცემი მამის ხელი. ჰეროდეს ბრძანებით დახოცილი ბავშვები, სწორედ ისინი გალობენ სიცოცხლისმომნიჭებელი მამისა და სიყვარულის გამცხადებელი ძის დიდებას.

29 დეკემბერი

2022

შობის რვადღეულის V დღე [ს], თ

წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ., +1170

ხუთშაბათი

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

აჰა, განწესებთ ულია ეს მრავალთა დამხობად და აღდგენად ლკ 2,34

ბავშვი კია, მაგრამ მისი მისია ძლიერია, თითქმის აღემატება ყველა ვარაუდსა და მოლოდინს... მისი წყალობით ბევრი, ძლიერი, უფსკრულში ჩავარდება და ღარიბნი, მცირენი, გარიყულნი აღდგებიან. სანამ იესო სამყაროშია, ეს მუდმივი შეცვლა მოხდება. მე წამოვდგები ჩემი ცოდვისგან და განვაგრძობ ყრმისა და მისი მომავლინებლის ქებას და იმ ქალის ხელების ქებას, რომლებიც მიწვდიან მას საამბორებლად.

30 დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ა», [ს], თ

2022 პარასკევი

ზირ 3,2-6.12-14; ან კოლ 3,12-21; ფს 127; მთ 2,13-15.19-23

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ადექი, წაიყვანე ყრმა და დედამისი,
და გაიქეცი ეგვიპტეს მთ 2,13

ღამით გაქცეული ოჯახი წმიდა ოჯახია. იოსები მიუძღვის პაწაწინა ქარავანს ამ უცნაურ პილიგრიმზე. დიახ, ეს პილიგრიმობაა: მარიამმა და იოსებმა იესოსთან ერთად არ იციან სად წავიდნენ, მაგრამ იციან, რომ სადაც არ უნდა წავიდნენ, მათ უმეგზურებს მამის ხელი და მოელის მისი სახე. განსაკუთრებული პილიგრიმი, რომელიც იქცევა მრავალი მომლოცველის სამიზნედ. დღეს მეც ავდგები, რათა ვესტუმრო ამ ოჯახს.

31 დეკემბერი

შობის რვადღეულის VII დღე [ს], თ

წმ. სიღიბისტრო I, პაპი, +335

2022 შაბათი

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

ნათელი ბნელში ანათებს იო 1,5

მხოლოდ ვარსკვლავები ანათებენ სიბნელეში. სიბნელით გარშემორტყმული შუქები. ასეა იესო. ჩვენ შეგვიძლია მისი ამოცნობა მაშინაც კი, როცა ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ბნელია. დავასრულოთ წელი, მადლობა მივუძღვნათ. ახალი წელი მადლიერებს გვპოვებს, რაც თავმდაბლობის ნიშანია. ჩვენ მადლობას ვუძღვნით, რადგან ვაღიარებთ, რომ გვჭირდება სხვები და ღმერთი, მისი, როგორც მამის სიყვარული და მისი საჩუქარი, იესო. იესო იქნება ის შუქი, რომელიც გაანათებს ახალ წელს, მთლიანად, ბოლომდე.